

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 15 ივლისს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“, რითაც დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2008 წლის 20 თებერვალს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პარლამენტის მიერ დამტკიცებამ, ასევე საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებულმა ცვლილებებმა და დამატებებმა დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე კანონპროექტის მომზადება და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზანია დემოკრატიული პრინციპებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საქართველოს ორგანულ კანონთან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

კანონპროექტის მიღების მიზანს ასევე წარმოადგენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი საბჭოს არჩევნების და არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებას, აგრეთვე ცალკეული პროცედურული საკითხების გამარტივებას.

ა.გ) კანონპროექტის არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით იცვლება საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

კერძოდ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის შემადგენლობა ნაცვლად შვიდისა განისაზღვრება 13 წევრით, სადაც 6 წევრს დანიშნავს ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებები.

რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისას დაექვემდებარებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრი, გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთ წევრს დანიშნავს უმაღლესი საარჩევნო კომისია, ხოლო დანარჩენს 7 პოლიტიკური გაერთიანება, მათ შორის საოლქო კომისიის 6 წევრს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. .

კანონპროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი რაოდენობის შესაბამისად უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაცვლად 30-სა განისაზღვრა 18 უმაღლესი საბჭოს წევრით, რომელთაგან 12 აირჩევა პროპორციული, ხოლო 6 მაჟორიტარული სისტემით.

კანონპროექტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი.

კანონპროექტით ასევე იცვლება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის ასაკობრივი ზღვარი. კერძოდ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის ასაკი ნაცვლად 23-სა განისაზღვრება 25 წლის ასაკიდან.

ასევე მნიშვნელოვანია, ისიც რომ კანონპროექტით მცირდება საარჩევნო ბარიერი და ნაცვლად დღეს არსებული 7 პროცენტის ბარიერისა, უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები მიეკუთვნება იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც გადალახავენ 5 პროცენტის საარჩევნო ბარიერს.

კანონპროექტით ასევე დგინდება ადგილობრივი მაუწყებლების ვალდებულება საარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო საეთერო დროის გამოყოფის თაობაზე.

კანონპროექტი მთლიანობაში უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის საჯაროობასა და საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლებისათვის საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მაქსიმალურად გამჭვირვალობას.

კანონპროექტით ასევე დეტალურად გაიწერა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩირებასთან დაკავშირებული საკითხები.

კანონპროექტით ხდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, როგორც იურიდიული და ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დახვეწა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.გ) კანონპროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.